



ილორი

www.ilori.ge



№94 (155) 23 ნოემბერი 2010

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო

30 თეთრი

რა არის პოლიტიკა და ვინ არის პოლიტიკოსი

უამრავი განმარტება მოგვისმენია პოლიტიკისა და პოლიტიკოსთა თაობაზე, მაგრამ ამ სიტყვების მოსმენისას, საქართველოში არსებული პოლიტიკური სკოლის და პოლიტიკოსების გადამკიდეს წამსვე უკმარობის გრძობა გეუფლება.

საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრს მიაჩნია, რომ ედუარდ შევარდნაძე იყო მსოფლიო დონის პოლიტიკოსი. ეს ასე არაა – ედუარდ შევარდნაძე იყო მსოფლიო დონის თაღლითი, რომელმაც საკუთარი სამშობლო და ხალხი ჩაღის ფასად მიჰყიდა ამერიკელებს. თუმცა შევარდნაძისეული ჩაღის ფასი რამდენიმე მილიარდი დოლარი გახლდათ, რომლის ნაწილითაც შემდეგ საქართველო იყიდა და საკუთარ ბოსლად გაიხადა...

სად ხედავთ აქ პოლიტიკოსებს? პოლიტიკოსობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ უღირსი საქციელის ჩამდენი ის სინდისგარეციხილი ბიზნესმენია, რომელიც ფულისა და სარფის მოსახვეჭად ყოველ უმსგავსო საქმეზე აწერს ხელს.

როგორც იტყვიან, ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემა და ედუარდ შევარდნაძის მიერ აღზრდილ-გამოკვებილი „პოლიტიკოსები“ რატომ უნდა იყვნენ მათ „მამა და მარჩენალზე“ სუფთა და წესიერი მოღვაწეები?

არჩევნების ტოტალური გაყალბება, პარტიის თანამედროვე დიქტატურის იარაღად ქცევა, გაღატაკებული ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრა და იმის ცინიკურად მტკიცება, რომ გაუბედურებულ ქართველ ხალხზე ბედნიერი დღეს ქვეყნად არაფერ არის, დაუბრუნებელი კორუფცია და საკუთარი ხალხის ყველაფე – აი, რა გახლავთ დღევანდელი ხელისუფლების დანაშაულებრივი მოღვაწეობის შედეგი.

ამათ არა მხოლოდ არჩევნები გააყალბეს, ამათ, თავიანთი ამერიკელი მფარველების მოთხოვნითა და ხელშეწყობით, მთელი ქართველი ხალხის ყოფა ერთ დიდ სიყალბედ აქციეს!

სად არის აქ პოლიტიკა? ეს ხომ მხოლოდ თავხედური ძაღადობა და წრესგადასული სიყალბეა, ხალხისათვის პირში ჩათხრილი აპრიორია: „ჩვენ ვიყავით მაშინ, როცა ქვეყანას მოქალაქეთა კავშირი მართავდა, ჩვენ ვართ დღეს, როცა ქვეყანას ნაციონალები მართავენ, ჩვენ ვიქნებით მაშინაც კი, როცა ქვეყნის სათავეში თუნდაც სატანა მოვა“ (სატანა კი უკვე კარგა ხანია მოსულია)!

აი, ამათი პოლიტიკის ქვაკუთხედი!

ჯერ კიდევ რომის იმპერიის პერიოდიდანაა აღიარებული, რომ თვით ყველაზე წესიერი და სამართლიანი პარლამენტიც კი დემოკრატიის ფალსიფიკაცია გახლავთ. ახლა ჩაუფიქრდით – რას წარმოადგენს ფაქტიურად „დანიშნული“ საქართველოს პარლამენტი, რომელიც ყოველად უმსგავსო და საშინელი გაყალბებით ჩამოყალიბდა. და თუ ეს ასე არ არის, ერთხელ მაინც გახადონ საჯაროდ გამჭვირვალე ქსელსა თუ რეგიონებში ჩატარებული არჩევნების შედეგებს.

ვერასოდეს გააკეთებენ ამას, რადგან ამათი თვითღუსტრაცია მათი პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნება. იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი ქართველი ერის წინაშე, რომ ხელისუფლებიდან მათი ჩამოცილება ნამდვილად დიდი საფრთხის შემცველი იქნება ამათთვის. ამიტომ არ ერიდებიან არაფერს საიმისოდ, რათა შეინარჩუნონ ხელისუფლება და, აქედან გამომდინარე, ჯანმრთელობაც...

ამიტომ, ახლა ხელისუფლების არქიტექტონიკის შეცვლით აპირებენ ხელისუფლებაში თავიანთი უბადრუკი ყოფის გახანგრძლივებას! ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდეს საკუთარ ხალხს მოწყვეტილი პარლამენტარი, რომელიც მასების ხელისუფლებისა და მათი საქმეების გადაწყვეტის უფლების სამუდამო მონოპოლიზაციას მოახდენს. განა დიქტატურა სხვა რამა?

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში გაბატონებული ტრადიციული (ფაქტობრივად კი ყალბი) დემოკრატია უზრუნველყოფს პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობას, ლამის წმინდანის სახით მოსაგეს მას, ნიშნავს იმას, რომ პარლამენტი გადაიქცევა უზურპაციისა და ხალხის ხელისუფლების უზნეოდ მიკუთვნების საშუალებად. კონსტიტუციურად ხალხი უფლებამოსილია სახალხო რევოლუციის გზით იბრძოდეს იმისათვის, რომ დაამარცხოს არჩევნების ტოტალურად გაყალბებით დაკომპლექტებული პარლამენტის ხელში მყოფი დემოკრატიის მონოპოლიზაციისა და მასების სუვერენული ნების დათრგუნვის იარაღი და მთელი ხმით განაცხადოს ახალი პრინციპი – არაფეთარი წარმომადგენლობა ქართველი ერის სახელით!

თუ ადრე, სიყალბის მოშველიებით ქმნიდა პარტია პარლამენტს, ახლა იგივე სიყალბის მოშველიებით შექმნილი პარლამენტი ჩამოაყალიბებს მთავრობას!

ხალხის საშველი კი არსაიდან ჩანს! არც გამონდება, ვიდრე ხალხი არ გამოფხიხლდება!

ფოთის პორტს ჩინელები ან ინდოელები დაეპატრონებიან

არაბულმა „რაკიამ“ 2011 წელს ფოთის პორტის შესაძლო გაყიდვის თაობაზე საკუთარი გეგმები საჯარო გახადა. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ჰაატერ მასადიმ განაცხადა, კომპანია პორტის აქციების საერთაშორისო ბირჟებზე გატანას გეგმავს. აღნიშნულის მიზეზად, ინვესტორი პორტის არასტრატეგიულობას ასახელებს.

ამის შესახებ საქინფორმმა რამდენიმე კვირის წინათ დაწერა, თუმცა მაშინ ეს ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტრომ უარყო.

დღეს კი აღნიშნული ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრიც, ვერა ქობალიაც ადასტურებს. მინისტრის თქმით, ფოთის პორტი ძალიან მომგებიანი იყო და ინვესტორმა დიდი შემოსავალიც მიიღო, ამიტომ მისთვის გაუგებარია „რაკიას“ გადაწყვეტილება.

ქობალიამ ასევე განაცხადა, რომ ფოთის პორტს ერთმანეთზე „გამოედო“ ინვესტორები ეშურებიან. არაბების შემდეგ საქართველოს საზღვაო კარიბჭე, შესაძლოა, „გამოედო“ ინდოელებმა ან ჩინელებმა გააკონტროლონ.

შეგახსენებთ, რომ არაბულ „რაკიან ინვესტიმენტს“ ფოთის პორტის 51%-იანი წილი 49-წლიანი მართვის უფლებით, 2008 წლის აპრილში გადაეცა.

მოგვიანებით კომპანიამ აქციათა 49%-იც შეისყიდა. „რაკიას“ ფოთის პორტი გარკვეული ვალდებულებებით გადაეცა. მათ შორის, ერთ-ერთი ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობას.

ითვალისწინებდა, რომელიც აქამდე არ გახსნილა და დიდი ალბათობით არც გაიხსნება.



სასწრაფო დახმარების გამოძახება ფასიანი გახდება

ეს ინფორმაცია ახლახან საქინფორმს სანდო წყარომ აცნობა. მართალია, ამას ხელისუფლებიდან არაფერ ადასტურებს, მაგრამ უკვე საუბრობენ, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახება უფასო აღარ იქნება.

მას შემდეგ, რაც სასწრაფო დახმარების გამოძახება ფასიანი გახდება, ეს მოსახლეობის ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო გაუსაძლისს გახდის. მოსახლეობას ერთხელ უკვე დაუმძიმდა პირობები, როდესაც რეფერალურ პროგრამებთან დაკავშირებული კომისია ჯანდაცვის სამინისტროდან პრემიერ-მინისტრთან გადავიდა. ამის შემდეგ გადაუდებელ ოპერაციებთან დაკავშირებით მოსახლეობამ პრემიერ გილაურს უნდა მიმართოს და თითქმის მთელი მთავრობა უნდა შეიკრიბოს, ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის ოპერაციის დაფინანსების საკითხი რომ გადაწყვიტოს.

როგორც ამბობენ, თითქმის ერთი თვის განმავლობაში ეს კომისია არ შეკრებილა და კონკრეტული ადამიანების ოპერაციის დაფინანსებაზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

გამვირბული წამლების ფონზე, ერთადერთი სასწრაფო დახმარების გამოძახება-და რჩებოდა მოსახლეობისთვის უფასო და ახალი წლიდან კი მოსახლეობას სასწრაფოს დახმარების გამოძახებაზე ფასის გადახდა მოუწევს.

SOS – ხელისუფლება უიფილით ანოხოვას ბვიპირებს!



ახლა მაინც თუ ხედავთ, რომ „ნაციონალებისათვის“ ხმის მიცემით თქვენ საკუთარ სიკვდილს მიეცით ხმა! დიახაც რომ სიკვდილს, ოღონდ არა უცაბედს, არამედ თანდათანობით, დამთრგუნავს, დამტანჯველს! არაფერ იცის, რამდენი ქართული ოჯახი შეგებება ახალ წელს სრულ სამარისებურ სიბნელესა და მღუმარებაში, რადგან ხელისუფლების გადაწყვეტილებით მას არ ექნება შუქი, წყალი, ბუნებრივი აირი... და ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომელიც წყალს მიაქვს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი მნიშვნელობით! მალე სასწრაფო დახმარების გამოძახებაც ფასიანი გახდება! მხოლოდ ჰაერი გვაქვს უფასო, მაგრამ ხელისუფლებას ნუ გავაგებინებთ, თორემ სუნთქვაც ფასიანი გაგვიხდება! ახლა მაინც არ მოხვალთ აზრზე???

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იძიებით... 2

დიმიტრი ყიფიანი 7
ყაზარმობა

ივანე ჯავახიშვილი - ქართველი პირის ისტორია 9

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები სპორტის ისტორიაში იწერებოდა...

დაიბადა 1940 წლის 20 თებერვალს, ინგლისში... თამაშობდა კლუბებში "ჩელსი" (ინგლისი), "მილანი" (იტალია), "ტოტენჰემი", "ვესტ ჰემი" (ინგლისი).

დაიბადა 1932 წლის 25 ოქტომბერს თამაშობდა კლუბებში "დანდოლი" (ირლანდია), "დონკასტერი", "მანჩესტერ-იუნაიტედი", "სტოკი" (ინგლისი).

დაიბადა 1942 წლის 11 სექტემბერს, შოტლანდიაში... თამაშობდა კლუბ "რეინჯერში" (შოტლანდია).

იხმარი

უკაცრავად, რატომ ასდის თქვენს საფირმო კატალოგებს არცის სუნენ?
ოფიციალტმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია:
- ახლა?
- რა კარგად ვიბანავე თქვენს ჯაკუზიში... ჰო, მართლა, რატომაც ასე პატარა?
- ჩვენ ნომრებში ჯაკუზი არა გვაქვს, მხოლოდ ბიდე...

უპაფათი (ღვთიური მოთხრობა)

ამას გული, ნუთუ გიგრძნობს? და თუ კი გიგრძნობს, ნუთუ გაუძღვება ამას გული. გული გრძნობს ნუთუ გაუძღვება, და თუ გაუძღვება, ვინ იქნები შენ, რა იქნები შენ, სად იქნები შენ, როდის იქნები და რა დაგიძახოს შენ? ეჭვი, უშაბთები! უშაბთები, შე უბედურო, ბედნიერო სულთანო... მოხეტიალე დერვიშად გველო სულ, ვინ ამოგიცნობდა უგვანოში დიდი სამეფოს მრისხანე მბრძანებელს... და განაგრძო ქალმა სიმღერა და სიმღერით მოთქმა-გოდება...

ცხადარი შეასვენეს დედაქალაქში, ტახტი უმაღლესი მემკვიდრემ დაიკავა, ისევ მისი სახელით, იმდენად დიდი იყო მისი სახელი - უშაბთი! გოლიათი მეფე გულითაც გოლიათი ყოფილა. ორივეს გულმა ერთმანეთი გაიხსენა, დედა გაიხსენა ორივეს გულმა, უხმოდ უხმო. "გაი ნანა!" ხომ მარადიული ბოლო სიტყვაა ყველა ენაზე, რად კითხულობენ, თუ რადაა ეგზომ მწუხარე და სევდიანი მეგრული მღვდლივები, მოტივები, სიმღერები... ვით ისტორია ჩვენი, სევდიანია იგი და მწუხარე. ჩვენს სოფელსაც, იქნებ ამიტომ ჰქვია "უშაფათი"? თუ მოაღწია ამ ლეგენდამ, ამ ზელეგენდამ უშაბათზე, აქამომდე ამ სახელად თუ მოაღწია... ეს მოტივები მოტივებით გაიხსენიან ჩვენთა გულთაგან, რომ ვერ გაუძლო დიდი ძმის გულმა, ასევე დიდმა, გახსენებას რომ ვერ გაუძლო... ეჭვი, უშაბთი, უშაბათები, უბედურო ბედნიერო სულთანო...

ღმერთს აღნიშნავდა, ამონ-რა, "მე-რა-ბ" კი მზის წყალს, მზის სადარს, მზის ნათებას, მზის ბრწყინვალებას ნიშნავს... და ისევ "ხნუმ ხუფუ (ხუბუ)" - უფალი მოწყალე... აქ სიტყვა "ხუბუ" უფალს აღნიშნავს... ამ ერთი ფრაზით ასრულებდნენ მიწიერ არსებობას და იწყებდნენ ღმერთის მოლოდინს კვლავად სადგომად, კვლავად მდგომედად ზედიანი არსნი გვიპოტისანი და იმ მსოფლიოსი. ჩვენც ამ ფრაზით დავამთავროთ ეს მოთხრობა და წარწერებით ჩემი დედა-მამის საფლავის ქვებზე ჩემი ამ ლექსებით, ჩემმა მშობლებმა მე ღმერთის მისია რომ აღმისრულეს, ღმერთი განმისახიერეს მე ჩემმა მშობლებმა, უსახლვროდ უდიდესმა და უსახლვროდ უღამაზესმა აღამიანებმა:

ISSN 1987-8966 ილორი
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანი
WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de